ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 7 ივნისი 2008 №129 (3353) ფასი 50 თეთრი



## 22 დღეში ამ დიდ თასს ახალი პატრონი ეყოლება

### არადა, დრო იყო, ეს თასი მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გივი ჩოხელის იყო...

## საქართველოში იბადებოდნენ...


კახა კალაძე


ალექსანდრე იაშვილი


დავით კვირკველია

## სარბიელისგან მეთექვსმეტედ, ტრადიციულად

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც ტრადიციულად „სარბიელი“ ავლენს ჟურნალისტთა გამოკითხვით, წლეულს მეთექვსმეტედ გამოვლინდა. უფრო სწორად, ანკეტები უკვე შეჯამებულია, ხოლო საუკეთესოს ვინაობას ორშაბათს გამოვაცხადებთ.

წლევანდელი გამოკითხვა კი დიდად განსხვავდებოდა შარშანდელისგან, როცა წინასწარვე იოლი გამოსაცნობი იყო შოთა არველაძის გამარჯვება.

წლეულს გამოკვეთილი ფავორიტი არ ყოფილა და ამდენად ფავორიტთა შორის ხმები თითქმის თანაბრად განაწილდა.

სამაგიეროდ, აშკარა ფავორიტი ჰყავდა საქართვველოს ჩემპიონატში მოთამაშეთა შორის საუკეთესოს, რომლის ვინაობასაც ასევე ორშაბათს გამოვაცხადებთ.

სამეულები კი ასეთია: საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები — კახა კალაძე, ალექსანდრე იაშვილი, დავით კვირკველია; საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები — გიორგი მერებაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, მიხეილ ხუციშვილი.


მიხეილ ხუციშვილი


დიმიტრი ტატანაშვილი


გიორგი მერებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტატანაშვილის პრეზენტაცია ლუდის ქალაქის ქართული შენაძენი













**ჯერჯერობით**, საზაფხულო ტრანსფერებიდან ქართველებისთვის ყველაზე საინტერესო, ალბათ, დიმიტრი ტატანაშვილის ჩეხურ „პლზენში" გადასვლა იყო.

„ამერის" ყოფილმა ფორვარდმა გუშინწინ ხომ გააფორმა კონტრაქტი, ლუდით ცნობილი ქალაქის გუნდთან, გუშინ მისი პრეზენტაციაც შედგა.

პრეზენტაციაზე „ტატანას" „პლზენის" წითელი მაისურა გადასცეს, ბლომად ჟურნალისტები და ფოტოგრაფებიც შეიკრიბნენ, ანუ წარდგენა არცთუ მოსაწყენი და უფერული იყო.

დიმას ჯერ სათამაშო ნომერი არ შეურჩევია, თუმც, სავარაუდოდ, ნაცნობ 18-ს აიღებს — „ამერშიც" და მანამდე „სპარტაკშიც" ამ ნომრით თამაშობდა.

ტანმაღალმა და რბილი მანერის ფორვარდმა გუშინ „პლზენის" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ივარჯიშა, რაკილა ძირითადი გუნდი ისვენებს.

დიმიტრი ტატანაშვილი ხვალ თბილისში დაბრუნდება, 16 ივნისს კი ისევ პლზენში იქნება და ძირითად გუნდთან ერთად დაიწყებს მზადებას.

ჩეხეთი ქართველი ფეხბურთელებისთვის ხშირი ნავსაყუდელი არ არის, იქაურ გამბრინუსლიგაში ჩვენიანთაგან მხოლოდ გიორგი განუგრავა („მლადა ბოლესლავში") ირიცხება, ადრე კი გოჩა ტრაპაიძესა და დავით ოდიკაძეს უთამაშიათ, ოღონდ „ოდო" ქვედა ლიგის გუნდში იყო.

**ილია ნანოგაშვილი**




# პაჭელო პატარა ლოკოს გაჰყვა

**გიორგი** ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, სადაც კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი დარჩა, თუმცა „პაჭელოს" რკინიგზელთა ძირითად გუნდში ფეხის მოკიდების მცირე შანსი აქვს.

ჭელიძე მოსკოველთა ახალგაზრდულ გუნდს გაჰყვა სამკვირიან შეკრებაზე — რუსეთის სამხრეთში, კურორტ ხოსტაში.

შეხსენება თუ გინდათ, „პაჭელომ" ბოლო წელიწადი საქართველოში ითამაშა: პირველ წრეში „ზესტაფონში" გახლდათ, მეორეში კი — „ბათუმში".

სავარაუდოდ, მოსკოვის „ლოკომოტივი" ჩვენიანს ისევ გაანათხოვრებს, ან შეიძლება, გაყიდოს კიდეც.

**ილია ნანოგაშვილი**

# დაუშვილი და ზესტაფონი დამთავრდა



ჯაბა ირემაძის ფოტო

**„სარბიელის"** მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ „ზესტაფონი" ბაკურიანშია შეკრებაზე. იმერლები ევროთასზე გამოსასვლელად ემზადებიან და სხვა ქართულ გუნდებთან შედარებით ადრიანად დაიწყეს წვრთნა.

თემურ მახარაძის განკარგულებაში ჯერ მხოლოდ ერთი ლეგიონერია — ედსონ სანტოსი, სხვები კი სამშობლოში ისვენებენ.

გუშინ შევიტყვეთ, რომ გუნდს ბაკურიანში არ გაჰყოლია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მურთაზ დაუშვილი, მას „ზესტაფონთან" კონტრაქტი აგვისტოში უმთავრდება და გახანგრძლივებას აღარ აპირებს.

**ნუგზარი ლოლაძე**

# ტრაბზონსპორის ინკოგნიტო ქართველი ელიავა თუ მერებაშვილი?

**თურქულმა** „ტრაბზონსპორმა" წლეულს უკვე სამი ტრანსფერი გაჩარხა და, როგორც ამბობენ, კიდევ რამდენიმე ახალწვეული ეყოლება. რომელთა შორის ერთ ქართველზეცაა ლაპარაკი, თუმც მის სახელ-გვარს არ ახმაურებენ.

ერთს კი ვიტყვით: წლინახევრის წინ ტრაპიზონელები გოგიტა გოგუათი იყვნენ დაინტერესებულნი, რომელიც მაშინ რუსულ „სატურნს" ერგო. რამდენიმე თვის წინ კი ზაალ ელიავაზეც იყო ლაპარაკი და, სავარაუდოდ, სწორედ ელიავა უნდა იყოს ტრაპიზონელთა სასურველი ქართველი. თუმცა ნურც დინამოელი გიორგი მერებაშვილის ამბავს დავივიწყებთ — ეს ფეხბურთელიც სერიოზულად აინტერესებთ თურქებს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან...

**ილია ნანოგაშვილი**

# შოთა არველაძე: ალკმაარის ტექნიკური დირექტორი?



**შესაძლოა**, შოთა არველაძე ჰოლანდიური „ალკმაარის" ტექნიკურ დირექტორად დაინიშნოს.

ეს ინფორმაცია სანდო წყაროდან შევიტყვეთ. აწ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა, რომლის ვეტერანობას ბევრი ვერ შეჩვეულა და ბევრიც ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ შეეჩვევა, თავად გვითხრა, უცხოეთიდან წინადადებები არა მარტო ლუის ვან გაალის ასისტენტობაზე, არამედ სხვა სამუშაოებზეც მაქვსო.

ტყუპისცალის საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება. რამდენადაც ვიცით, შოთა 12 ივნისისთვის უნდა ესტუმროს ვან გაალს ჰოლანდიაში.

**ილია ნანოგაშვილი**

# კვარაცხელიას გოლიანი დებიუტი

**გოლით** აღნიშნა ბელარუსულ „მტზ-რიპოში" დებიუტი ლიტვური „კაუნასიდან" ახლახან გადასულმა გივი კვარაცხელიამ.

„მტზ-რიპომ" გასვლით მატჩში 3:1 მოუგო „გრანტის". კვარაცხელია ძირითადში იყო, სრულადაც ითამაშა ახალ გუნდში და მე-60 წუთზე თავურით მესამე ბურთი გაუტანა მასპინძლებს.

ამ გამარჯვებით „მტზ-პრიპო" ორი ქულით მიუახლოვდა ლიდერ „ვიტებსკს", რომელმაც სტუმრად 1:1 ითამაშა გიორგი ჭედიას ჟოდინოს „ტორპედოსთან", რომელიც 12 ქულით მე-6 ადგილზეა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გივი კვარაცხელია (მარჯვნივ)

**ამხანაგური მატჩი**

ინდონეზია 1:1 მალაიზია



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ცხადაძე ცხადაძესთან
## ვიტ ჯორჯიადან დათუნაიშვილიც მიდის

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ თბილისის „ამერი" ახალგაზრდა თავდამსხმელმა ბაჩანა ცხადაძემ დატოვა და თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" მიაშურა, თუმც ამ გუნდში დამკვიდრება გაუჭირდა.

გუშინ შევიტყვეთ, რომ ცხადაძე „ვიტ ჯორჯიადანაც" წავიდა და გუშინ ამის მიზეზი ვკითხეთ.

— „ვიტ ჯორჯიასთან" ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დავტოვე გუნდი. შესაძლოა, აზერბაიჯანში, „სტანდარდში" წავიდე" — გვითხრა ბაჩანამ.

შეგახსენებთ, რომ „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი ბაჩანას მამა, კახა ცხადაძეა.

ვიტელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა პაატა დათუნაიშვილს და, როგორც შევიტყვეთ, ნესტორ მუმლაძის გუნდში დარჩენას აღარ აპირებს.

შეგახსენებთ: ცოტა ხნის წინ „ვიტ ჯორჯია" ზაზა სახოკიამაც დატოვა. იგი სომხურ „მიკაში" ისინჯება.

ვეტერინარები უეფას თასისთვის მზადებას 11 ივნისს შეუდგებიან თბილისში.

**ნუკრი ლოლაძე**

# რა იქნება დიაზე

**9 ივნისს** 18 საათზე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „დიას" დაჯილდოება მოეწყობა.

გუშინ ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში პრესკონფერენცია ჩატარდა. „დიას" დაჯილდოება მეოთხედ ტარდება და თუ აქამდე ათ ნომინაციაში გამარჯვებულები ვლინდებოდნენ, 9 ივნისს ერთით მეტი იქნება.

1. საუკეთესო მეკარე
2. საუკეთესო მცველი
3. საუკეთესო ნახევარმცველი
4. საუკეთესო თავდამსხმელი
5. საუკეთესო ფეხბურთელი
6. წლის აღმოჩენა
7. საუკეთესო მსაჯი
8. საუკეთესო პროექტი
9. საუკეთესო მწვრთნელი
10. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი
11. ჩემპიონატის საუკეთესო გოლი




გამარჯვებულ ნომინანტებს სხვადასხვა პროფესიის ცნობილი სახეები გადასცემენ ჯილდოებს.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა საღამოს მიმდინარეობაზეც ისაუბრა. გალა-დაჯილდოება საათსა და ოც წუთს გაგრძელდება.

პრესკონფერენციაზე დაჯილდოების წამყვანმა, მსახიობმა თემიკო ჭიჭინაძემ და მედიაკომპანია „კოლხიდას" სახემ თათული ბართაიამაც ისაუბრეს.

თემიკო ჭიჭინაძე: „როგორც უბრალო გულშემატკივრისთვის, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ საქმეში პატარა წვლილს შევიტან. მინდა, პროფლიგას მხარში ამოვუდგე ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ".

თათული ბართაია: „ჩემთვის ძალიან საინტერესოა ასეთი დაჯილდოების წაყვანა და იმედი მაქვს, ლამაზი საღამო გამოვა".

**ნუკრი ლოლაძე**

# მსაჯთა ათეულები

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ 2007-2008 წლების სეზონის 10 საუკეთესო არბიტრისა და გვერდითი მსაჯის ვინაობა დაასახელა.

10 საუკეთესო არბიტრის სია ასეთია: *ლ. ფანიაშვილი, ლ. სილაგავა, ლ. კვარაცხელია, გ. ვადაჭკორია, ა. კრიჭაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ა. ნონიკაშვილი, მ. ურუშაძე, დ. ხარიტონაშვილი, ო. ხეცაძე.*

10 საუკეთესო გვერდითი მსაჯი: *მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, ს. ხაცინი, ი. უკლება, ზ. ფიფია, გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე.*

**ლუკა თალაკვაძე**

# მჭავანაძე ისევ გაცურავს



**ახალი** სეზონისთვის მზადებას იწყებს ოდესის „ჩერნომორეცი" და „მეზღვაურებთან" ერთად კვლავ ივარჯიშებს კახა მჟავანაძე.

მჟავანაძე ოდესელთა საკუთრებაა და გუნდის შეუცვლელ წევრადაც ითვლებოდა. გასული სეზონიდან კი, რაც მწვრთნელად ვიტალი შევჩენკო მივიდა, მჟავანაძისთვის ადგილი აღარ მოიძებნა. ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერ რუსეთის პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟიში", შემდეგ კი უკრაინულ ოვიდიოპოლის „დნესტრში" გაანათხოვრა. უკრაინის პირველ ლიგაში ერთი ტური დარჩა, თუმცა მჟავანაძეს ამ მატჩის გამოტოვება მოუწევს — ოდესელებმა უკვე გამოითხოვეს ფეხბურთელი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თბილისის ბავშვთა ფეხბურთი და ორი ლიგა



ბ. ქეთილაძის ფოტო

**გუშინ** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელზეც სამუშაო პრიორიტეტად ბავშვთა ფეხბურთი დასახელდა.

უახლოეს დღეებში დაიწყება ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების პროცესი. პირველ რიგში, ლიცენზირებას თბილისში არსებული სკოლები გაივლიან. ლიცენზირებასთან ერთად დაიწყება ფინანსური დახმარების პროექტი, რისთვისაც საჭიროა, სკოლებმა ერთი თვის ვადაში წარადგინონ საკუთარი გეგმები და პროექტები.

ერთიც: ფედერაციის პრეზიდენტ გრიგოლ ცაავას ინიციატივით შეიქმნება ორი ლიგა — ელიტლიგა და ქვედა ლიგა, რომლებშიც სხვადასხვა ასაკის ბავშვთა გუნდები ითამაშებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გადანაცვლებანი აზერბაიჯანში



რომან ახალკაცი

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მომავალ სეზონში ქართველი ფეხბურთელები კლუბების ცვლილებებით შეხვდებიან.

„ქარვანიდან" დათხოვნილი სამი ფეხბურთელიდან (ლექსო ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე, რომან ახალკაცი) ახალი გუნდი მხოლოდ ახალკაცმა მოძებნა — ჩვენებური ბოლო ტურში ჩემპიონობადაკარგულმა „ოლიმპიკმა" გადაიბირა და კონტრაქტიც გაუფორმა.

ინწკირველისა და ტრაპაიძის მომავალი კლუბები ჯერჯერობით უცნობია. არც ის ვიცით, სად გააგრძელებს კარიერას „გაბალას" ოთხი ქართველი — ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური და გიორგი გაბიდაური. კლუბმა ოთხივე მათგანი დაითხოვა, თუმც სულ უქართველოდ არ დარჩენილა, „ქარვანიდან" გოგა ბერაია შეიმატა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიმურგი საქართველოს ზამთარ-ზაფხულ გაეჩვია

**ზაქათალის** „სიმურგი" და საქართველო ისეთი განუყოფელნი შეიქნენ, რომ აზერბაიჯანელებმა წელიწადში ორი შეკრება თბილისში რომ არ მოაწყონ, უკვე არც შეუძლიათ.

ახალი ჩემპიონატისთვის მზადებას „სიმურგი" 21 ივნისს დაიწყებს ბაქოში, სადაც ორ კვირას დაყოფს, მეორე შეკრება კი თბილისში აქვს დაგეგმილი.

შეგახსენებთ, გასულ სეზონში „სიმურგში" ორი ქართველი თამაშობდა — დავით ბოლქვაძე და კახა ჩხეტიანი. ამჟამად მოქმედი კონტრაქტი მხოლოდ ჩხეტიანს აქვს.



რომან პოკორას „სიმურგი" ამ ზაფხულშიც გვეწვევა

ბადრი ქეთილაძის ფოტო

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ეს სამპირიანი „ჯილეტი" პორტუგალია ისევ იყომარებს?

— როდის იყომარა რო?

— კარგი რა, ტო, 2004-ში ხალხი რო გაპარსა, არ გახსოვს? შენ არ იყავი, პორტუგალიის აძინიქსი რო გეწერა საბერძნეთთან ათასლარიან ბილეთში და მერე სკოლარის ფიტული რო დაწვი?

— არ უყომარია, ტო, პროსტა საბერძნეთმა მაგარი ტეხნარი ფუტბოლით აჯობა, თორე ისე პორტუგალიას უნდა მოეგო...

— უნდა და მინდა, ძმაო. მთელი მსოფლიო პორტუგალიაზე იდგა. ევროკავშირს მაგათი ვალი ჰქონია და „უილიამ ჰილს" შეეკრა. ხალხი პორტუგალიის მოგებაზე დადგა, მაგათ კიდე გატეხეს, მერე „ჰილიდან" 100 მილიონი ევროს ჩეკი მიიღეს...

— შენ რა მაგრა გცოდნია ევროსაიუზნი ფუტბოლი, ტო. პორტუგალიაზე დღეს რას ფიქრობ? მაყუთი ხო უკვე გააკეთეს, ეხლა არ დააყუდებენ თურქებს?

— იმენა შენნაირი ჰარიფებისგან იშოვეს ეგ 100 მილიონი, ძმაო. როგორ ვერ უნდა მოწვა, რო მაგათი მოგება ეხლა თურქებთანაც დაიგრუზება.

აბა გაიხსენენე, თურქებმა ბრაზილიას 2002-ში ორი თამაში მისცეს და ფინალში გაუშვეს, მაშინ ბრაზილიელების ტრენერი ვინ იყო?

— მაჰმუდი.

— ეკაიფე ჰაქან შუქურს, ძმაო. კუშნახევარი ტვინი არა გაქ და თან არ მისმენ.

— კაი, ტო, რა ფლანგებიდან მიტევ, რა გეწყინა, მოკლედ მითხარი...

— ჰოდა, ძმაო, მაშინ ბრაზილიელების ტრენერი იყო სკოლარი...

— მერე სკოლარი ეხლა რა შუაშია?

— შუაში კი არა, ეხლა პორტუგალიის ტრენერია და თურქებს ვალი უნდა დაუბრუნოს..

— კაროჩე, შენ ამბობ, რო დღეს პორტუგალია თურქებს დაუწვება?

— იავნად არა, მარა, ბოიში დაწვებიან...

— ეგაც გცოდნია, ტო და ჩეხეთის წაგებას არ ფიქრობ შვეიცარიასთან?

— აუ, რა „კურიტიბა" ხარ, ძმაო. რა წაგებას, მასპინძლები გახსნის თამაშს წააგებენ? ეგ როგორ ვერ უნდა მოტვინო...

— რა მასპინძლები, ტო, კუთხურის ფლაჟოკს ხო არ დაეჯახე, ჩემპიონატი შვეიცარია-ავსტრიაშია..

— მოიცა, ძმაო, რანაირად? მე ჩეხეთში ვიცოდი...

— წეღან ევროსაიუზნი ფუტბოლს მირაზბორებდი და აზრზე არა ხარ, ჩემპიონატი სად ტარდება... მიდი რა, გაიარე, აუტის ხაზს გაყევი, იქნებ სადმე სკოლარი შეგხვდეს და მოკითხვა გადაეცი...

**ჭუში ჭოჭმარია**

ჩემი ბილეთი:
001 ჩანგჩუნ იატაი — შანდონგ ლუნენგი
შედეგი: ყველა გაიტანს
სავარაუდო მოგება: ჩინური ბრინჯაის ფლავი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რას აკეთებდა რაულ გონსალეს ბლანკო ლუის არაგონესის სახლის ეზოში ღამის ოთხ საათზე.

114140 *

# ჟიული მიდის



**რეაქტიული** ფრანგი გარემარბი ლუდოვიკ ჟიული მზადაა, „რომა" დატოვოს. იგი „გლადიატორებში" გასულ ზაფხულს „ბარსელონადან" გადავიდა და 31 წლის ფრანგისგან ძალიან ბევრს ელოდნენ, მაგრამ მან მოლოდინი ვერ გაამართლა.

ლუჩანო სპალეტი ჟიულის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად აყენებდა, რაც ფეხბურთელს არ მოსწონს და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

„ძალიან მინდა საფრანგეთში დაბრუნება, ასე გადავწყვიტე. ოღონდ ჯერ არ ვიცი, რომელ კლუბში გადავალ. პსჟ საინტერესო გამოწვევა იქნებოდა, მაგრამ სხვა ვარიანტებიც მაქვს. კარიერის ბოლომდე ორი-სამი წელი მაინც დამრჩა და მინდა, საკუთარი თამაშისგან სიამოვნება მივიღო. საქმე ფულში არ არის, ასე რომ იყოს, ყატარში წავიდოდი. „რომას" ხელმძღვანელობა მზად არის, წასვლაში ყველანაირად დამეხმაროს" — აღნიშნა ჟიულიმ.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# ამელია პალერმოში გადავიდა

**იტალიის** ნაკრების მეორე მეკარე მარკო ამელია სერია B-ში გავარდნილი „ლივორნოდან" „პალერმოში" გადაბარგდა. 26 წლის გოლკიპერმა ტოსკანელეთა რიგებში 7 წელი გაატარა და 150-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. ბოლო წლებში მას არაერთ გრანდს უკავშირებდნენ, მაგრამ საბოლოოდ, სიცილიელთა რიგებში აღმოჩნდა.



თავად ამელიას ძალიან უნდოდა მშობლიურ „რომაში" გადასვლა, მაგრამ „ჯალოროსიმ" მისი სურვილი და თხოვნა ყურად არ იღო.

რა დაუჯდა „პალერმოს" ეს შენაძენი, ჯერჯერობით უცნობია. იტალიური პრესის ვერსიით — 7-10 მილიონი ევრო. ამელიამ სიცილიელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აღსანიშნავია, რომ „პალერმოში" სერიოზული ცვლილებებია. სიცილიელებმა უკვე მოასწრეს ამაურის, ანდრეა ბარცალის, კრისტიან ძაკარდოსა და ლეანდრო რინაუდოს გაშვება. ესენი კი დაიმატეს — ამელია, ანტონიო ნოჩერინო, დავიდე ლანძაფამე, ანდრეა რაგი და ფაბიო ლივერანი.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# ავტორიტეტის ზრდა



**ფილიპ ლამი** ბედნიერია, რომ მის ხმას გერმანიის ნაკრებში წონა დაედო — ლამი და მეგობრები სახვალიოდ ემზადებიან. კვირას, 8 ივნისს, გერმანია პოლონეთს ხვდება. დიახ, მიუნხენის „ბაიერნის" 24 წლის მარცხენა მცველი გრძნობს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ თანაგუნდელთა შორის უფრო ავტორიტეტული ფიგურა გახდა და ამით გახარებული ცდილობს, ბუნდესნაკრებს უფრო მეტი თავდადებით ემსახუროს.

„მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე გასული ეტაპია, ევროპის ჩემპიონატი კი ახლა იწყება და, ბუნებრივია, მისი გამარჯვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ჩემი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა მხოლოდ სამ წელიწადს ითვლიდა, თუმცა მას მერე, ორი წლის განმავლობაში, „ბაიერნში" უდიდესი გამოცდილება შევიძინე და ნაკრებში ჩემს ხმასაც გაცილებით დიდი წონა აქვს".

გეხსომებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლამმა კოსტა რიკასთან შეხვედრაში გოლი გაიტანა. ეს იყო ბუნდესნაკრების პირველი გოლი იმ მუნდიალზე, რის შემდეგაც გერმანელმა მცველმა შეჯიბრების ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელი დაიგდო. ახლა, შვეიცარიისა და ავსტრიის სტადიონებზე ლამი უფრო დიდი შთაბეჭდილების მოხდენას შეეცდება.

„ახლა გაცილებით გამოცდილი ვარ და მეტი პასუხისმგებლობის ზიდვა მმართებს — განაგრძობს ლამი — ფსიქოლოგიური წნეხი აშკარად მატულობს, მაგრამ ეს სრულიად ნორმალურია. ნებისმიერი ფეხბურთელი, ვინც აქ ჩამოვიდა, მოუთმენლად ელის თამაშების დაწყებას და აი, როგორც იქნა, იწყება".

სხვათა შორის, ლამი არ ჰყვება მიმომხილველებს, რომლებიც გერმანიის ნაკრებს ევრო 2008-ის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ.

„ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მათგანი ვართ, ვისაც ჩემპიონობა ხელეწიფება" — მშრალად პასუხობს ის და მომდევნო საკითხზე გადადის:

„დაცვის სისუსტე? მართალი გითხრათ, გერმანიის ნაკრების დაცვაში ვერანაირ ბზარს ვერ ვხედავ. ბევრს ლაპარაკობენ ბასტიან შვაინშტაიგერზეც, მაგრამ მერწმუნეთ, ის მშვენიერ ფორმაში იქნება. არ ყოფილა შემთხვევა, შვაინშტაიგერს ჩვენთვის ეღალატოს. იგი ყოველთვის ისეა მომზადებული, როგორც გუნდს გვჭირდება. ბასტიანი დიდი ფეხბურთელია და ჩვენ მისი იდეებით ვიკვებებით. დიდ ტურნირებზე ის მუდამ საუკეთესოდ თამაშობს და გერმანიის ნაკრების წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს".

**პაპუნა ჭიდია**



# კრიშტიანუ რონალდუს რეალში თამაში უნდა

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კი იუწყებოდა, კრიშტიანუ რონალდუ არსად არ მიდის, იგი არ იყიდებაო, მაგრამ საქმე მთლად ასე მარტივად არ არის. ბრიტანული და ესპანური პრესა კვლავ ჯიუტად იუწყება, 23 წლის პორტუგალიელი მადრიდის „რეალში" გადასვლასთან ახლოსაა, ეს თითქმის გადაწყვეტილი ამბავიაო.

„მანჩესტერმა" ფიფასაც კი სთხოვა — „რეალი" გააკონტროლეთ, წესების დარღვევით ცდილობს რონალდუს გადაბირებასო. თუმცა, როგორც ჩანს, ეს საქმეს არ შველის. მით უმეტეს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლის სურვილი თავად ფეხბურთელმა გამოთქვა.

„მადრიდის „რეალში" თამაში მსურს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეფო გუნდი მართლა გადაუხდის იმდენს „მანჩესტერს" და მეც იმდენ ხელფასს დამინიშნავს, რამდენსაც ამბობს. ტრანსფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო, ეს მეთქვა. ამიერიდან ევრო 2008-ის დასრულებამდე ამ თემაზე აღარ ვილაპარაკებ, კითხვებს ტყუილად ნუღარ დამისვამთ, არ გიპასუხებთ" — განაცხადა რონალდუმ.

ახლა ჯერი „რეალზეა", რომლის პრეზიდენტი რამონ კალდერონიც ამბობს, „მანჩესტერისა" და ფეხბურთელის მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ, პრობლემა არ არისო. თუმცა მან სიტყვა საქმედ უნდა აქციოს.

„მანჩესტერს" კი პორტუგალიელი ლიდერის გაშვება არ უნდა და ცხადია, დიდ ფულს მოითხოვს, მაგრამ თუ „რეალი" გადაიხდის, ტრანსფერს წინ ალბათ ვერაფერი დაუდგება და „წითელ ეშმაკებს" რონალდუსთან განშორება მოუწევთ.

„რონალდუ უნდა დარჩეს. ჩვენ ბევრი მუშაობის ხარჯზე მივაღწიეთ წარმატებებს და მწვერვალზე დარჩენა გვინდა. ამისთვის კი ერთად ყოფნა და პროგრესირებაა საჭირო. ყველა წამყვანი მოთამაშე უნდა შევინარჩუნოთ" — ეს კი „მანჩესტერის" მცველის რიო ფერდინანდის სიტყვებია.

**გიორგი ძაძამიძე**

# მითხარი შენი მეტსახელი და...

**ცნობილი** ადამიანებისთვის მეტსახელების მინიჭება ჩვეულებრივი ამბავია. მათ, როგორც წესი, სხვა ცნობილ ადამიანებს ადარებენ, ასევე სხვადასხვა ცნობილ კინო თუ ანიმაციურ პერსონაჟებს. ევრო 2008-ზე ბევრი ფეხბურთელი ითამაშებს, რომლებსაც საინტერესო თიკუნი აქვთ. ყველაზე გამორჩეულებს ამ სტატიაში შემოგთავაზებთ...

„იუვენტუსის" ყოფილმა მფლობელმა, აწ გარდაცვლილმა ჯანი ანიელიმ, რომელსაც მეტსახელად „ადვოკატს" ეძახდნენ, ალესანდრო დელ პიეროს „პინტურიკიო" შეარქვა და მას დღემდე ამ მეტსახელით ვიცნობთ. პინტურიკიო რენესანსის ეპოქის ცნობილი მხატვარი იყო, რაფაელის მოსწავლე გახლდათ და დიდი მასწავლებლის დონეზე ასვლას ლამობდა. ამით ანიელიმ დელ პიერო დიად რობერტო ბაჯოს შეადარა, რომელსაც თავის მხრივ „ღვთაებრივ ცხენისკუდასა" და „პატარა ბუდას" ეძახდნენ.

თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ საბერძნეთის ნაკრების ჭაღარა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისი ძალიან ჰგავს ჰოლივუდის ვარსკვლავ ჯორჯ კლუნის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ნიკოპოლიდისს „კლუნის" ეძახიან.

ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" მცველის სერხიო რამოსის მეტსახელი „ტარზანი" ყოფილა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ რამოსი აღნაგობით, იერითა და კერძოდ, გრძელი თმებით ძალიან მოგვაგონებს ტარზანს.

ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ მთავარ იმედს, „ლიონის" ფორვარდ ქარიმ ბენზემას „ფრანგული ფეხბურთის კოშმარად" იცნობენ. მას „ბიგბენზს" ანუ დიდ ბენზემასაც ეძახიან.

კიდევ ორი ფრანგის, პატრიკ ვიეირასა და პატრის ევრას მეტსახელები მარტივია, მათ „პატს" ეძახიან. ლონდონის „ჩელსის" შემტევ ნახევარმცველ ფლორენ მალუდას კი უბრალოდ „ფლოდ" იცნობენ.

შეიძლება ბევრი ვიკამათოთ, ვინ იყო მართალი ზინედინ ზიდანისა და მარკო მატერაცის ცნობილ ინციდენტში, ან ვინ დარჩა მოგებული, მაგრამ იტალიელ მცველს თავის მეტსახელს „მატრიცას" ვერავინ წაართმევს. მას მეორენაირად „ყასაბადაც" იცნობენ.

შვედეთის ნაკრების ვეტერან ფორვარდ ჰენრიკ ლარსონს „ოქროს მარგალიტი" შეარქვეს, ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" მეკარე იკერ კასილიასს კი „წმინდა იკერი".

წარსულში კოკაინის ხმარებაში მხილებულ, რუმინეთის ნაკრების ლიდერ ადრიან მუტუს „დინამიტს" ეძახიან, ხოლო მის თანამემამულე მარიუს ნიკულაეს — „ისარს".

ზოგის აზრით, ჭეშმარიტად დიდ ფეხბურთელებს მეტსახელი სულაც არც სჭირდებათ. მაგალითად, ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეს, კრიშტიანუ რონალდუ დუშ სანტუშ ავეირუს მეტსახელი ჯერ საერთოდ არ აქვს. თუმცა აღსანიშნავია, რომ რონალდუ მას ამერიკის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის საპატივცემულოდ უწოდეს.

**გიორგი ძაძამიძე**



ალექს დელ პიერო — იგივე „პინტურიკიო"

# კმაყოფილი გალიანი

**„მილანის"** ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის სჯერა, რომ „როსონერი" ახლგახსნილ სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით დომინირებს, რითაც კმაყოფილია.

„ჩემი აზრით, „მილანმა" სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ყველაზე კარგად იმუშავა — ამბობს გალიანი — არა მგონია, სხვა იტალიური კლუბები ჩვენსავით გაძლიერებულიყვნენ. გუნდში დავაბრუნეთ მეკარე კრისტიან აბიატი. ვიყიდეთ ჯანლუკა ძამბროტა, ამ მცველს ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება. დავიმატეთ ჩინებული ნახევარმცველი მატიე ფლამინი. ახლა ჩვენი მიზანი კარგი ფორვარდის შეძენაა. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დავიბრუნეთ მარკო ბორიელო, ვინც გასულ სეზონში 19 გოლი გაიტანა. ეს სხვა ტრანსფერებზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის".

„როსონერის" ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლონდონის „არსენალის" ტოგოელი ფორვარდი ემანუელ ადებაიორია. ამბობენ, „მილანი" პირადად ფეხბურთელს უკვე გაურიგდა და ახლა „მეთოფეებს" უნდა შეუთანხმდესო. ეს ინფორმაცია გალიანიმ არც უარყო და არც დაადასტურა.

**გიორგი ძაძამიძე**



# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი. დღეს

# ახალგაზრდობა თუ გამოცდილება?

„სენტ-იაკობ-პარკი", ბაზელი

**შვეიცარია — ჩეხეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ავსტრია:** ბენალიო; დეგენი, სენდეროსი, ჟურუ, მანინი; ბეჰრამი, ფელსონი, ინლერი, ბარნეტა; შტრელერი, ფრაი
**მწვრთნელი:** იაკობ კუნი
**ჩეხეთი:** ჩეხი; უიფალუში, რად. კოვაჩი, როზეჰნალი, იანკულოვსკი; იაროლიმი, პოლაკი, მატეიოვსკი, პლაშილი; ბაროში, კოლერი
**მწვრთნელი:** კარელ ბრიუკნერი
**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**მაშ ასე,** დღეს ევრო 2008 იწყება და დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში დიდი საფეხბურთო ვნებათაღელვის მორევში ჩაგვითრევს. ევროპის რიგით მეცამეტე ჩემპიონატი თანამასპინძელი შვეიცარიისა და ჩეხეთის ნაკრებების შეხვედრით გაიხსნება.

შვეიცარია ფინალურ ეტაპზე მონაწილე ნაკრებებიდან ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული და პერსპექტიულია. ცხადია, შვეიცარიელებს რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც ჰყავთ. იაკობ კუნის შეგირდები საკუთარი ქომაგების თვალწინ, რასაკვირველია, ნიჭის გამოვლენასა და ტურნირის წარმატებით დაწყებას ყველანაირად ეცდებიან.

68 წლის კარელ ბრიუკნერის გამოცდილი ჩეხეთის ნაკრები კი, რომელიც ძირითადად ვეტერანებით არის დაკომპლექტებული, შეეცდება დაამტკიცოს, რომ ფეხბურთელებს საუკეთესო წლები უკან არ მოუტოვებიათ და კვლავ დიდ ძალას წარმოადგენენ.

ჩეხთა გადაბერებულ შემადგენლობაზე და ერთფეროვან თამაშსა თუ შეტევაში უფანტაზიობაზე ლაპარაკი მას მერე დაიწყო, რაც სანაკრებო კარიერა დაასრულეს პაველ ნედვედმა, კარელ პობორსკიმ, ვლადიმირ შმიცერმა... ნაკრების კაპიტანსა და პლეიმეიკერს ტომაშ როსიცკის კი ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება უწევს.

გამოცდილი ბრიუკნერი ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირ მილან ბაროშს ალბათ სათადარიგოთა სკამზე დასვამს და ძირითად შემადგენლობაში ერთადერთ ცენტრფორვარდად 35 წლის „კეთილ გიგანტს", 2,02-მეტრიან იან კოლერს დააყენებს, რომელიც ნაკრებში გამართულ 87 მატჩში 54 გატანილი გოლით ჩეხეთის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

„კოლერს პერსონალურ მცველს არ მივუჩენთ. ჩვენი ნაკრების დაცვა ზინედინ ზიდანსა და სხვა დიდ ფეხბურთელებს გამკლავებია, პერსონალურად კაცის აყვანის გარეშე. ახლაც ჩვეულებრივად ვითამაშებთ. მით უმეტეს, რომ ჩეხებს კოლერის გარეშეც დიდი შემტევი პოტენციალი აქვთ და საფრთხეს სხვებისგანაც უნდა ველოდოთ" — თქვა კუნის თანაშემწემ მიშელ პონტმა.

თავდასხმაში თავისი ვარსკვლავი შვეიცარიელებსაც ჰყავთ, ასევე საკმაოდ გამოცდილი ალექსანდერ ფრაი. მას ნაკრებში ჩატარებულ 59 მატჩში 35 გოლი აქვს გატანილი.

„ჩვენი ფეხბურთელები გაიზარდნენ და დაიხვეწნენ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე. ნაკრების მაღალ კვალიფიკაციაში და პოტენციალში ეჭვი არ მეპარება. რაც მთავარია, წარმატება გვწყურია. გვსურს, ისტორიაში შევიდეთ და ახლა ამის გაკეთების ბრწყინვალე შანსი გვაქვს, საკუთარ ქვეყანაში, ჩვენი ქომაგების თვალწინ" — განაცხადა ფრაიმ.

ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი დავიდ იაროლიმი: „არ მესმის, რატომ ამბობს ხალხი, რომ ისეთივე ძლიერები აღარ ვართ, როგორც ადრე ვიყავით. ჩვენ ბოლო სამი ტურნირის ფინალურ ეტაპზე გავედით და ცუდად არ გვითამაშია, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ევროპის ჩემპიონები ერთხელ მაინც გავხდებოდით. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს და ევრო 2008-ზეც დავამტკიცებთ, რომ ძლიერი ნაკრები გვყავს".

შეგახსენებთ, რომ ევრო 1996-ზე ჩეხები ფინალში დამარცხდნენ გერმანიასთან დამატებით დროში, 2000 წელს ჯგუფში ჩარჩნენ, სადაც მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან და დანიასთან ერთად იყვნენ. ევრო 2004-ზე კი ჩეხები მომავალ ჩემპიონ ბერძნებთან ნახევარფინალში დამატებით დროში დამარცხდნენ.



იან კოლერი, „კეთილი გიგანტი" ჩეხი

**გიორგი ძაძამიძე**

# აზიიდან წამოსულ სკოლარის თურქები ევროპაში დახვდნენ



„სტად დე ჟენევი", ჟენევა

**პორტუგალია — თურქეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუგალია:** რიკარდუ; ბოსინგვა, პეპე, რიკარდუ კარვალიუ, ბრუნუ ალვეში; პეტიტი, დეკუ, მოუტინიუ; ქარეშმა, კრიშტიანუ რონალდუ; ნუნუ გომეში
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**თურქეთი:** ვოლკანი; საბრი, სერვეთი, გიოქჰანი, ჰაქან ბალთა; არდა თურანი, ჰამით ალთინთოფი, ემრე, მეჰმეთ აურელიო; სემიჰი, ნიჰათი
**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**თურქებს** დიდ ტურნირზე მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშიათ. მაშინ სამხრეთ კორეა-იაპონიაში ჯგუფში, შემდეგ კი ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ბრაზილიასთან წააგეს, რომელსაც პორტუგალიელთა ამჟამინდელი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი წვრთნიდა. ექვსი წლის შემდეგ სკოლარი თურქებს ისევ გადაეყარა.

პორტუგალია თურქეთს ევროპის ჩემპიონატის (1996) ჯგუფურ ეტაპზე შეხვდა და 1:0 მოუგო, მერე კი ევრო 2000-ზე მეოთხედფინალში 2:0 დაამარცხა ნუნუ გომეშის გოლებით.

რაღა თქმა უნდა, პორტუგალიელთა ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ იქნება ფათიჰ თერიმის მთავარი თავსატეხი, მაგრამ ნიჰათი ამბობს, რომ თურქები დევნას მხოლოდ მას არ დაუწყებენ:

„ცხადია, რომ რონალდუ გამორჩეულად ძლიერი და ალბათ წლის საუკეთესო ფეხბურთელია. როცა გუნდს ასეთი ნიჭიერი, ბევრი გოლების გამტანი მოთამაშე ჰყავს, ყველას თვალი მისკენაა მიპყრობილი, მაგრამ მხოლოდ მის განეიტრალებაზე არ უნდა ვიფიქროთ, რადგან პორტუგალიის ნაკრებში მაღალი კლასის სხვა არაერთი ფეხბურთელი თამაშობს.

ჩემი აზრით, ამ ჯგუფში გუნდებს შორის კლასში საგრძნობი სხაობა არ არის და მეოთხედფინალში გამსვლელთა ბედს წვრილმანები გადაწყვეტს.

აქ ყველა მატჩი ფინალის ტოლია და ვეცდებით, რომ საუკეთესო ფეხბურთი ვითამაშოთ. პორტუგალიას ბევრი ქომაგი ეყოლება და ეს უპირატესობაა, მაგრამ მოედანზე თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ ვიქნებით".

„ისევე, როგორც ყველა ჩვენთაგანი, რონალდუც თავდაუზოგავად იბრძოლებს, რადგან მან კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდისთვის" — თქვა ფერნანდუ მეირამ, ხოლო მეკარე რიკარდუმ განაცხადა:

„პირველი მატჩის მოგება ყველას უნდა, მაგრამ არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ამ თამაშის მომგები ცალი ფეხით მეოთხედფინალში იქნება".

თურქეთი და პორტუგალია აქამდე სულ ხუთჯერ შეხვედრიან. ოსმალოებმა ერთხელ იმარჯვეს, დანარჩენი კი წააგეს.

ორშაბათის ვარჯიშზე მსუბუქად დაშავდა კრიშტიანუ რონალდუ, მაგრამ მწვრთნელმა თქვა, რომ სადღეისოდ მზად იქნება. ხუთშაბათს ცალკე ივარჯიშა კუნთნატკენმა დეკუმ, თუმც თურქებთან ალბათ ითამაშებს.

„ბაიერნის" ნახევარმცველ ჰამით ალთინტოფს თითქმის ორი თვე გაუცდა აპრილში მიღებული ტრავმის გამო, მაგრამ გამოკეთდა, ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანეს და გუშინწინ განაცხადა, რომ პორტუგალიასთან სათამაშოდ მზადაა.

თურქთა ნახევარმცველმა არდა თურანმა კი ბრძანა, ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთო:

„შეტევა საუკეთესო დაცვაა. თუ მეტოქეს იერიშებით შევაწუხებთ და მისსავე საჯარიმოში გამოვამწყვდევთ, გატანის მეტი შანსი გვექნება".

**ვაჟა ხუციშვილი**

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. ხვალ

# არასტანდარტული პრობლემები და საშიში სტანდარტულები



სლავენ ბილიჩი

**„ერნსტ ჰაპელი“, ვენა**
**ავსტრია — ხორვატია**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**ავსტრია:** მახო (ან მანინგერი); პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეცი; გარიჩი, აუფჰაუზერი, ზაუმერი, ფუხსი; ივანშიცი; ჰარნიკი, ლინცი
**მწვრთნელი:** იოზეფ ჰიკერსბერგერი
**ხორვატია:** პლეტიკოშა; ჩორლუკა, რობ. კოვაჩი, სრნა, შიმუნიჩი; ნ. კოვაჩი; კრანჩარი, მოდრიჩი; რაკიტიჩი; ოლიჩი, პეტრიჩი
**მწვრთნელი:** სლავენ ბილიჩი
**მსაჯი:** პეტერ ვინკი (ჰოლანდია)

**ხორვატებთან** თამაში კარსაა მომდგარი, ავსტრიელთა მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი კი თავისი ფეხბურთელების დისციპლინისა და ყურადღების ნაკლებობას უჩივის.

გარდა ამისა, ჰიკერსბერგერი მეკარის არჩევანის წინაშეც იდგა. ერთი შეხედვით, მას აქამდეც უნდა დაესახელებინა ალექს მანინგერსა და იურგენ მახოს შორის პირველი, მაგრამ საბოლოოდ ეს საქმე შაბათისთვის გადადო, ასე რომ, ვისაც ავსტრიელ გოლკიპერთა ამბავი გაინტერესებთ, დღეს ცალი ყური ტელევიზორებისკენ გქონდეთ.

მაინც, რატომ გადადო მწვრთნელმა პირველი მეკარის დასახელება ბოლო წამამდე? იმიტომ, რომ სხვა პრობლემებმა იჩინა თავი.

„ეს საკითხი იმიტომ გადავდეთ, რომ მეკარის პრობლემა ჩვენს პრობლემათა შორის ბოლო ადგილზეა — განაცხადა 60 წლის ჰიკერსბერგერმა — ამ კვირაში აშკარად დავინახე, რომ გუნდი უწინდელივით კონცენტრირებული აღარ არის. ეს ძალიან სახიფათო ტენდენციაა და მას სასწრაფოდ უნდა ვუწამლოთ. დროა, ჩვენი მოთამაშეები გამოფხიზლდნენ“.

ჰიკერსბერგერის თქმით, ავსტრიელ მოთამაშეებს, უპირველეს ყოვლისა, პუნქტუალურობა დაერღვათ და დისციპლინის დაკლების პირველი სიმპტომიც ეს იყო.

„ეს ხომ ევროპის ჩემპიონატია და თითოეულ ფეხბურთელს თავის გამოჩენის უნიკალური შანსი ეძლევა“ — ბრძანა მწვრთნელმა, რომლის ბანაკშიც ყველაზე შეწუხებული და იმავდროულად მოწადინებული კაცი ივიცა ვასტიჩია, ავტრიელ-ხორვატი.

ცნობისთვის: ვასტიჩმა ავსტრიის მოქალაქეობა 1996 წელს მიიღო.

„ვფიქრობ, ავსტრიის ნაკრები ჩემპიონატისთვის კარგად არის მომზადებული — განაცხადა, თავის მხრივ, 38 წლის ხორვატმა, რომლის ტოლიც ამ ჩემპიონატზე მონაწილე გუნდებს მწვრთნელები და ექიმები თუ ეყოლებათ — ბოლო დღეებში უამრავი ხორვატი ჟურნალისტი დამიკავშირდა, მაგრამ ჩვენი სამზარეულოდან არაფერი წამომცდენია“.

ავსტრიის ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა ვილი რუტენშტაინერმა კი განაცხადა, რომ მათ ხორვატების თამაში დაწვრილებით შეისწავლეს.

„გასული შემოდგომიდან მოყოლებული, ყველაფერი შევისწავლეთ. ის კი არა, ამ გუნდის ფეხბურთელებისა და მწვრთნელების შესახებ მოედანსმიღმა ინფორმაციაც კი შევკრიბეთ“.

ხორვატთა თავკაცი სლავენ ბილიჩი კი ამბობს, რომ წინა ჩემპიონატისა არ იყოს, შესაძლოა, ამ ჩემპიონატსაც მოულოდნელი გამარჯვებული ჰყავდეს.

აბა, თუ მიხვდებით, ვის გულისხმობს ბატონი ბილიჩი?

ოლოლო თქვენ, გამოიცანით. რასაკვირველია, ხორვატიას.

ნახევარმცველი დარიო სრნა კი კონკრეტული საკითხებითაა დაკავებული, ავსტრიელთა წინააღმდეგ ყურადღებით თამაშის მნიშვნელოვნებაზე ამახვილებს ყურადღებას.

„ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ უსარგებლო ჯარიმები არ „ავიკიდოთ“. სტანდარტული სიტუაციები ხომ ავსტრიელთა დიდი უპირატესობაა. იმისათვის, რომ შეჯიბრება, ჩვენ რომ გვინდა, ისე გავიაროთ, პირველი თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.

**პაპუნა ძიდია**

# პოლონეთი 75 წლის წინააღმდეგ

**„ვორტერზეე“, კლაგენფურტი**
**გერმანია — პოლონეთი**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია:** ლემანი; ლამი, მერტეზაკერი, მეცელდერი, იანსენი; ფრიცი, ფრინგსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი; კლოზე, გომესი
**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი
**პოლონეთი:** ბორუცი; ვასილევსკი, ბაკი, იოპი, ჟავრჟინიაკი; ლობოძინსკი, დუდკა, ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი; სმოლიარეკი, ჟურავსკი
**მწვრთნელი:** ლეო ბეენჰაკერი
**მსაჯი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**რაც ამ** ორმა ქვეყანამ 75 წლის წინ საფეხბურთო მეტოქეობა წამოიწყო, პოლონელებს გამარჯვება არ უზეიმიათ. 1933 წლიდან მოყოლებული, გერმანია და პოლონეთი 15-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, საიდანაც ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა, თერთმეტში კი წარმატებას გერმანელებმა მიაღწიეს.

კლაგენფურტული მატჩის მთავარი ინტრიგაც ეს გახლავთ. გარდა იმისა, რომ პოლონელებს ჯგუფიდან გასასვლელად ქულები ჰაერივით სჭირდებათ (ისევე, როგორც გერმანელებს), ლეო ბეენჰაკერის შეგირდებს მეტოქის დამარცხების განსაკუთრებული წყურვილი სწორედ ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო ჰკლავთ. როგორია, 75 წელი ეპაექრებოდე მეზობელ ქვეყანას და გამარჯვება ერთხელაც ვერ მოიპოვო! ამაზე დიდი მოტივაცია, გინდ პოლონელისთვის, გინდაც ნებისმიერი ერის შვილისთვის, ალბათ არ არსებობს.

ერისშვილობა ტყუილად არ გვიხსენებია: გერმანიის ნაკრებში სამი პოლონელია, რომელთაგანაც ერთ-ერთი, მიროსლავ კლოზე, იოახიმ ლიოვის ჯილა და მთავარი იმედია.

კლოზე პოლონეთში დაიბადა და როცა წამოიზარდა, ემიგრანტმა მშობლებმა ჯერ საფრანგეთში წაიყვანეს, შემდეგ კი გერმანიაში დაფუძნდნენ.

„მე არასდროს მინახავს ის ასე ძლიერი, მოძრავი და მოწადინებული — აქებს კლოზეს იოახიმ ლიოვი, ვისთვისაც ეს გახლავთ ევროდებიუტი მთავარი მწვრთნელის რანგში — ის დაუბრუნდა თავის ძველ, დინამიკურ და ძალისმიერ სტილს. ის იდეალურ ფორმაშია“.

კლოზემ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ ბოლო საკონტროლო მატჩში ბელარუსებს 2 გოლი გაუტანა, მატჩი კი 2:2 დასრულდა. საერთოდ კი, ეროვნულ გუნდში ჩატარებული 75 შეხვედრაში 39-ჯერ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე.

კლოზეს დამხმარე შეტევაში, სავარაუდოდ, ლუკაშ პოდოლსკი, გერმანიის ნაკრების კიდევ ერთი პოლონელი იქნება. ლიოვი ან მას, ანაც მარიო გომესს შეუწყვილებს კლოზეს თავდასხმაში. არის კიდევ ერთი პოლონელი ლიოვის სამწყსოში — პეტრ ტროხოვსკი, რომელსაც, სავარაუდოდ, დიდად არ დატვირთავს.

პოლონელების ბანაკში კი სერიოზული დანაკლისია — „დორტმუნდის“ ნახევარმცველმა იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ გუშინწინდელ ვარჯიშზე კუნთი დაიზიანა და მინიმუმ ჯგუფური ეტაპის მატჩებში თავისიანებს ვერ დაეხმარება. შესაძლოა, ის ბეენჰაკერმა 23 წლის ლუკაშ პიშჩეკით შეცვალოს, რომელიც ასევე გერმანულ კლუბ „ჰერტაში“ თამაშობს.



ბასტიან შვაინშტაიგერი და მიროსლავ კლოზე

ბეენჰაკერმა გასულ თვეში უკვე მოისაკლისა მარცხენა მცველი გრეგორ ბრონოვიცკი, ვინც მთელი შესარჩევი ეტაპი სტაბილურად ჩაატარა და პოლონეთის ნაკრებს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში დიდად დაეხმარა. აქვე ვთქვათ ისიც, რომ პოლონელებმა შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიელებს აჯობეს და ფინალურ ეტაპზე პირველი ადგილიდან მოხვდნენ. გერმანელებმა კი მთელი შესარჩევი ციკლიდან პირველებმა გაინაღდეს ავსტრია-შვეიცარიის საგზური.

ხვალ მორიგი გერმანია — პოლონეთია, ბოლო კი ორი წლის წინ იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, რომელშიც გერმანელებმა ოლივერ ნოივილის გვიანი გოლის წყალობით იმარჯვეს.

**ირაკლი პერტაია**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## ყველაზე...

### ყველაზე მაღლები

| | | |
|---|---|---|
| იან კოლერი | ჩეხეთი | 202 |
| ანდრეს ისაკსონი | შვედეთი | 199 |
| პერ მერტეზაკერი | გერმანია | 198 |
| მარტენ სტეკელენბურგი | ჰოლანდია | 197 |
| მარკო შტრელერი | შვეიცარია | 197 |
| პეტრ ჩეხი | ჩეხეთი | 197 |
| ედვინ ვან დერ სარი | ჰოლანდია | 197 |
| ორლანდო ენგელაარი | ჰოლანდია | 196 |
| კოსტას ხალკიასი | საბერძნეთი | 196 |
| ტრაიანოს დელასი | საბერძნეთი | 196 |
| პასკალ ცუბერბიულერი | შვეიცარია | 196 |

### ყველაზე ახალგაზრდა

| | | |
|---|---|---|
| ერენ დერდიოკი | შვეიცარია | 19 (12.06.88) |
| ივან რაკიტიჩი | ხორვატია | 20 (10.03.88) |
| რუი პატრისიუ | პორტუგალია | 20 (15.02.88) |
| ნიკოლა კალინიჩი | ხორვატია | 20 (05.01.88) |
| ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 20 (19.12.87) |
| მიხალ პაზდანი | პოლონეთი | 20 (21.09.87) |
| სამირ ნასრი | საფრანგეთი | 20 (26.06.87) |
| სებასტიან პრიოდლი | ავსტრია | 20 (21.06.87) |
| მარტინ ჰარნიკი | ავსტრია | 20 (10.06.87) |

### ყველაზე ასაკიანები

| | | |
|---|---|---|
| ივიცა ვასტიჩი | ავსტრია | 38 (29.09.69) |
| იენს ლემანი | გერმანია | 38 (10.11.69) |
| ანტონის ნიკოპოლიდისი | საბერძნეთი | 37 (14.01.71) |
| პასკალ ცუბერბიულერი | შვეიცარია | 37 (08.01.71) |
| ედვინ ვან დერ სარი | ჰოლანდია | 37 (29.10.70) |
| ლილიან ტურამი | საფრანგეთი | 36 (01.01.72) |
| ნიკლას ალექსანდერსონი | შვედეთი | 36 (29.12.71) |
| ჰენკ ტიმერი | ჰოლანდია | 36 (03.12.71) |
| ნიკო კოვაჩი | ხორვატია | 36 (15.10.71) |
| ჰენრიკ ლარსონი | შვედეთი | 36 (20.09.71) |

### ყველაზე დაბლები

| | | |
|---|---|---|
| პიოტრ ტროხოვსკი | გერმანია | 169 |
| გიოქდენიზ ყარადენიზი | თურქეთი | 169 |
| სანტი კასორლა | ესპანეთი | 169 |
| თუმერ მეთინი | თურქეთი | 169 |
| ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 170 |
| ანტონიო დი ნატალე | იტალია | 170 |
| ხავი ერნანდესი | ესპანეთი | 170 |
| ჟოაუ მოუტინიუ | პორტუგალია | 170 |
| ფილიპ ლამი | გერმანია | 170 |
| დავიდ სილვა | ესპანეთი | 170 |
| კლოდ მაკელელე | საფრანგეთი | 170 |
| სიმაო საბროსა | პორტუგალია | 170 |
| უესლი სნეიდერი | ჰოლანდია | 170 |
| საბრი სარიოღლუ | თურქეთი | 170 |
| იგორ სემშოვი | რუსეთი | 170 |

### ვის რამდენი ლეგიონერი ჰყავს

| | |
|---|---|
| ხორვატია | 21 |
| ჩეხეთი | 20 |
| შვედეთი | 17 |
| შვეიცარია | 15 |
| ჰოლანდია | 14 |
| პოლონეთი | 14 |
| საფრანგეთი | 13 |
| პორტუგალია | 12 |
| რუმინეთი | 12 |
| ავსტრია | 9 |
| საბერძნეთი | 9 |
| თურქეთი | 6 |
| ესპანეთი | 5 |
| გერმანია | 4 |
| იტალია | 4 |
| რუსეთი | 1 |

### რომელი კლუბიდან რამდენი ფეხბურთელია

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 10 |
| ლიონი | 10 |
| გალათასარაი | 9 |
| ბაიერნი | 9 |
| ვერდერი | 8 |
| ბარსელონა | 8 |
| არსენალი | 7 |
| რეალი | 7 |
| ჩელსი | 7 |
| ზენიტი | 6 |
| ლოკომოტივი (მ) | 6 |
| ჰამბურგი | 6 |
| სტიაუა | 6 |
| ფენერბაჰჩე | 6 |

### 2008-ის მონაწილეთაგან რომელ ქვეყანაში რამდენი ფეხბურთელი თამაშობს

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია | 56 | საბერძნეთი | 21 |
| ინგლისი | 43 | თურქეთი | 18 |
| ესპანეთი | 41 | ავსტრია | 17 |
| იტალია | 36 | პორტუგალია | 13 |
| რუსეთი | 30 | რუმინეთი | 12 |
| საფრანგეთი | 23 | ჰოლანდია | 10 |

**მკითხველის პროგნოზი: ჩემპიონი ვერ გახდება საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, ჩეხეთი, პორტუგალია, თურქეთი, ავსტრია, ხორვატია, პოლონეთი, რუმინეთი, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი, შვედეთი**

## ხომ არ იცით, ვინ დარჩა?

მკითხველთა წერილების რუბრიკას ზუსტად ოთხი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, წინა ევროპის ჩემპიონატის დროს. რუბრიკა ამ ჩემპიონატის დროსაც ყოველდღიურად იარსებებს, ოღონდ თქვენ თუ არ იაქტიურეთ, არაფერი გამოვა.

ახლა, გახსნის დღეს, ამ წერილებს გთავაზობთ და იმასაც გთხოვთ, რომ წერილები დღის პირველ ნახევარში გამოგვიგზავნოთ. სალამოს გამოგზავნილი წერილების ოპერატიულად გამოქვეყნება გაგვიჭირდება.

**dzibo 007:** მოგესალმებით ყველას, ევრო 2008-ის მოლოდინში ვარ და მსურს, ჩემი აზრი დავაფიქსირო ჰოლანდიაზე. ჩემს მოსაზრებას, შესაძლოა, ბევრი დაეთანხმოს, ბევრი შეეწინააღმდეგოს, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა და მეტი არაფერი, ყველაფერი კი მალევე გამოჩნდება.

ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელებს ცუდი სეზონი არ ჰქონდათ. ნაკრების ძირითადმა მეკარემ ედვინ ვარ დერ სარმა ლიგა მოიგო, ურიგო სეზონი არ ჰქონიათ ჯონი ჰეიტინგას (რომელიც სულ ახლახან „ატლეტიკოში" გადავიდა), ვან ბრონკჰორსტს და ხალიდ ბულარუზს, არიენ რობენმა სეზონის პირველი ნაწილი ჩააგდო ტრავმის გამო, მერე კი კარგად ათამაშდა და პრიმერადივიზიონი მოიგო. საწინააღმდეგო დაემართა ვან ნისტელროის, რომელმაც სეზონის პირველი ნაწილი კარგად იბურთავა და გოლებიც საკმაოდ ბევრი ყარა, მერე კი ტრავმა მიიღო და ასე დაამთავრა სეზონი. უესლი სნეიდერმა კი „რეალში" მოლოდინი გაამართლა და დევიდ ბექემი შეცვალა. მან განვლილი სეზონის განმავლობაში ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ჯარიმების შესრულების ნამდვილი ოსტატია, ამის ნათელი მაგალითია კვირას უელსთან გატანილი შესანიშნავი გოლი. ასევე მშვენივრად იბურთავეს რაფაელ ვან დერ ვაარტმა, ვან პერსიმ, დირკ კუიტმა, კლაას იან ჰუნტელაარმა და ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა. თანაც ჰოლანდიის ნაკრებს ვერც ახალგაზრდას უწოდებს კაცი, ვერც ბებერს. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ახალგაზრდა უესლი სნეიდერია (24 წლის), ასაკოვანნი არიან ვან დერ სარი (38) და ვან ბრონკჰორსტი (33), დანარჩენთა ასაკი საშუალოდ 25-28 არის. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ჰოლანდიელებს უარყოფითი ბალანსი საკუთარ ჯგუფში მხოლოდ იტალიელებთან აქვთ: +2=5-8. ფრანგებთან საყაიმო მდგომარეობაა +9=3-9, თუმცა იმავე სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, ჰოლანდიელები ფრანგებს საშუალოდ 2 გოლზე მეტს უტანენ ხოლმე თამაშში. რაც შეეხება რუმინეთს, მათთან კი საუკეთესო შედეგი აქვთ +7=3-1, თან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ 11 მატჩში ჰოლანდიელებმა 22 გაიტანეს და მხოლოდ 2 მიიღეს, ანუ რუმინეთთანაც საშუალოდ 2 გოლს იტანენ მატჩში. თუმცა ეს მხოლოდ ციფრებია, მთავარი კი 9, 13 და 17 ივნისს მოხდება, მერე კი, წარმატების შემთხვევაში, აუცილებელია თავდაუზოგავი შრომა და ცოტა იღბალიც...



**adgajari:** მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ვგულშემატკივრობ საფრანგეთს, გამომდინარე იქიდან, რომ საფრანგეთის ნაკრებმა თითქმის სტაბილურად გაიარა შესარჩევი ეტაპი. ასევე რამდენიმე წელია, რაც საფრანგეთის ნაკრები ინარჩუნებს ერთგვარი დაბალანსებული გუნდის სახელს ევროპის თუ მსოფლიოს წინა პირველობის გათვალისწინებით. აღსანიშნავია რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის (ტულალანი, ბენზემა, ნასრი, დიარა) პროგრესი და მათი სინთეზი გუნდის გამოცდილ მოთამაშეებთან. ჩემი აზრით, რაიმონ დომენეკის საფრანგეთის ნაკრები სამართლიანად მიიჩნევა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად. გარდა ამისა, ტრადიციულად, ფავორიტები იქნებიან იტალიის და გერმანიის ნაკრებები. საინტერესო გუნდი ეყოლება ლუის არაგონესსაც ესპანეთის სახით.

**zizi-top:** „სარბიელს" გაუმარჯოს! დიდი მადლობა, ამ რუბრიკის აღდგენისთვის!

ახლა კი დავიწყე: საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ჩეხეთის, პორტუგალიის, თურქეთის, ავსტრიის, ხორვატიის, პოლონეთის, რუმინეთის, იტალიის, ესპანეთის, რუსეთის, საბერძნეთის და შვედეთის ქომაგებო, დიდი ბოდიში, მაგრამ ახლა ჩვენი დროა და, გაგვატარეთ!!!

აღარ გინდათ ტყუილუბრალოდ ძალების დაკარგვა და ნერვიულობა, ყველაფერი ისედაც ცნობილია: ჩემპიონები ჩვენ ვხდებით!!!

იმედია, მიხვდით, რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი. გული არ დაგწყდეთ...

**12skami**: გამარჯობა! ჩემი აზრით, ძალიან მაგარი ჩემპიონატი იქნება. გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს. ვფიქრობ, 4 ნაკრებს აქვს დაახლოებით თანაბარი შანსი — პორტუგალიას, საფრანგეთს, ესპანეთსა და ჰოლანდიას. ძალიან კარგი ნაკრები ჰყავს ხორვატიას და არ გამიკვირდება, ჩემპიონი რომ გახდეს. ხორვატებს კარგი ახალგაზრდები ჰყავთ და მათგან ბევრს უნდა ველოდოთ — იგივე მოდრიჩი, კრანჩარი, რაკიტიჩი, პრანიჩი...

ძალიან ბევრს ნიშნავს იღბალი და კიდევ, ბადე — მაგალითად, A და B ჯგუფები შედარებით მოისუსტებენ დანარჩენ ორთან. მაგალითად, ესპანეთს მეოთხედფინალში უეჭველად გრანდთან მოუწევს თამაში. თუმცა არაგონესს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს, ყველა ხაზში ბრწყინვალე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. რად ღირს ფერნანდო ტორესისა და დავიდ ვილიას წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი, ვფიქრობ, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდება. მოკლედ, პირველ ტურში გოლების კასკადს ველოდები ესპანეთ-რუსეთის მატჩში — ოღონდ, ცხადია, ჩვენი „ტკბილი" მეზობლების კარში...

პორტუგალიას ჰყავს რონალდუ და მარტო ამიტომ შეიძლება ფავორიტად ჩაითვალოს. საფრანგეთს კი ტიერი ანრი... რა ვიცი, მგონი, მისთანა ფეხბურთელი დღესდღეობით და ბოლო წლების მსოფლიოში არავინაა. ანრი ფეხბურთის პოეტია, მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა.

ჩემი აზრით, მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდებიან: პორტუგალია — გერმანია, ხორვატია — შვეიცარია, საფრანგეთი — შვედეთი, ესპანეთი — ჰოლანდია.

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**



# ობიექტივი

## ერთი ბიშტი შენ!

ევროპის ჩემპიონატის დღეებში ავსტრია-შვეიცარიიდან წმინდა საფეხბურთოს გარდა უამრავი სახალისო ფოტოც მოდის. აი, რამდენიმე მათგანიც: ბუნდესნაკრებელები, ფილიპ ლამი, არნე ფრიდრიხი და საიმონ როლფესი წკიპურტებით უმასპინძლდებიან დავიდ ოდონკორს. ხოლო ბიშტაობით გული როი იჯერეს, ტყლაპოზე ხტომაში წაივარჯიშეს.

ავსტრიელებმა, მარტინ შტრანცლმა, იურგენ მაჩომ და მარტინ ჰიდენმა დასაბრიყვებლად გასაბერი კაცი ამოირჩიეს — პასუხს გასცემს თუ რა...

რუსთა ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი კი ამასობაში არყის სმას მიეძალა და სერგეი სემაკთან ერთად ხუხავს.









მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 262 | კრემონეზე-ჩიტადელა | 1.90 | 2.70 | 4.65 | 1.11 | 1.34 | 1.70 |
| 18:00 | 263 | ანკონა-ტარანტო | 2.35 | 2.70 | 3.25 | 1.25 | 1.36 | 1.47 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 20:30 | 145 | ელჩე-ჰერკულესი | 2.40 | 2.90 | 3.05 | 1.31 | 1.34 | 1.48 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 144 | კადისი-სევილი ბ | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 20:00 | 146 | ლას პალმასი-სერესი | 3.30 | 2.90 | 2.25 | 1.54 | 1.33 | 1.26 |
| 20:00 | 147 | ეხიდო-ალბასეტე | 2.60 | 3.15 | 2.55 | 1.42 | 1.28 | 1.40 |
| 20:00 | 148 | ეიბარი-ნუმანსია | 1.85 | 3.20 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.84 |
| 20:00 | 149 | კასტელონი-სპორტინგი | 3.75 | 3.00 | 2.05 | 1.66 | 1.32 | 1.21 |
| 20:00 | 150 | კორდობა-ფეროლი | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 20:00 | 151 | ალავესი-სოსიედადი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 152 | სალამანკა-სელტა | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 20:00 | 153 | ტენერიფე-ტარაგონა | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 20:00 | 154 | გრანადა-მალაგა | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 174 | სტრომგოდსეტი-სტაბეკი | 3.10 | 3.40 | 2.15 | 1.62 | 1.26 | 1.31 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 173 | მოლდე-ლინი | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| 18:00 | 175 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1.80 | 3.40 | 4.30 | 1.17 | 1.26 | 1.89 |
| 18:00 | 176 | ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| 18:00 | 177 | ლილესტრიომი-ალესუნდი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 182 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1.45 | 4.30 | 6.20 | 1.08 | 1.17 | 2.53 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 178 | ლოვ ჰამი-მოსი | 2.40 | 3.40 | 2.70 | 1.40 | 1.27 | 1.50 |
| 20:00 | 179 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 1.50 | 4.20 | 5.80 | 1.10 | 1.19 | 2.43 |
| 20:00 | 180 | ალტა-ნიბერგსუნდი | 2.30 | 3.40 | 2.85 | 1.37 | 1.27 | 1.55 |
| 20:00 | 181 | ჰიოდი-სანდნესი | 2.10 | 3.40 | 3.25 | 1.29 | 1.27 | 1.66 |
| 20:00 | 183 | ჰიონეფოსი-ნოტოდენი | 2.05 | 3.40 | 3.40 | 1.27 | 1.27 | 1.70 |
| 20:00 | 184 | სპარტა ს-სანდეფიორდი | 2.70 | 3.40 | 2.40 | 1.50 | 1.27 | 1.40 |
| 20:00 | 185 | კონგსვინგერი-სოგნდალი | 2.40 | 3.40 | 2.65 | 1.40 | 1.25 | 1.48 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 10:00 | 240 | ურავა-ნაგოია | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 14:00 | 241 | კობე-კიოტო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 14:00 | 242 | ვერდი-ტოკიო | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 14:00 | 243 | ივატა-შიმიცუ | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 14:00 | 244 | საპორო-კაშივა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 245 | იჩიჰარა-კავასაკი. | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 14:00 | 246 | ნიიგატა-იოკოჰამა ფმ | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 14:00 | 247 | ოიტა-ომია | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 02:30 | 214 | ნიუ ინგლენდი-დალასი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 04:30 | 209 | ჰიუსტონი-ტორონტო | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 05:00 | 210 | სოლტ ლეიკი-კანზასი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 06:30 | 211 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 03:30 | 212 | კოლამბუსი-სან ხოსე | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 04:30 | 213 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **არგენტინა. კლაუსურა** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 23:10 | 218 | რასინგი-ურაკანი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 04:15 | 219 | ნიუელზი-ხიმნასია ჟ | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 01:50 | 224 | არსენალი-ხიმნასია ლპ | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 01:20 | 215 | სან მარტინი-როსარიო | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:20 | 216 | ესტუდიანტესი-კოლონი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:20 | 217 | რივერ პლეიტი-ოლიმპო | 1.37 | 3.90 | 7.50 | 1.01 | 1.15 | 2.56 |
| 04:10 | 220 | სან ლორენსო-ბანფილდი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 01:20 | 221 | ტიგრე-არგინტინოს ხუნიორსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 223 | ველესი-ინდეპენდიენტე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 01:40 | 222 | ლანუსი-ბოკა ხუნიორსი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| | | **ბრაზილია. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 01:10 | 225 | იპატინგა-ნაუტიკო | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 01:10 | 226 | სან პაულუ-ატლეტიკო მნ | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 01:10 | 227 | ფლამენგო-ფიგეირენსე | 1.60 | 3.60 | 5.25 | 1.10 | 1.22 | 2.13 |
| 23:00 | 228 | ატლეტიკო პრ-გოიასი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 23:00 | 229 | გრემიო-ფლუმინენსე | 1.50 | 3.70 | 6.30 | 1.06 | 1.21 | 2.33 |
| 23:00 | 230 | სპორტ რისიფე-პალმეირასი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:00 | 231 | პორტუგესა-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 01:10 | 232 | ვიტორია-სანტოსი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
